სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 7 (4582) ● 24 აპრილი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა

რეფორმა გაითავისე და მოლოდინი ოპტიმისტურია

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო, სწავლა-სწავლებისა თუ სხვა სავალდებულო მოთხოვნების სწორ შედეგამდე წარმართვაზე, ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე, ურთიერთდაკავშირებასა და მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, თავდაუზოგავად შრომობს თბილისის 39-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. დირექტორი **ბესარიონ სიხარულიძე** გასული წლის ივნისში დაინიშნა ამ სკოლის ხელმძღვანელად. იგი დედაუნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, წლების მანძილზე სკოლაში მე-11-12 კლასელებს არჩევით საგანს — ეკონომიკის თეორიის საფუძვლებს ასწავლიდა, შემდეგ 43-ე სკოლის დირექტორი იყო და განათლების სფერო, თავისი გამოწვევებითა თუ პრობლემებით, მისთვის საკმაოდ ნაცნობია. აქ მოსვლის პირველივე დღეებიდან მეგობრული, კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვს კოლექტივთან, მოსწავლეებთან. გაიზარდა მშობელთა ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლაში შეიქმნა სამივე საფეხურის მშობელთა სამწევრიანი კოლექტივი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს დირექციასთან და ახდენს დანარჩენების ინფორმირებულობას; გაძლიერდა სადამრიგებლო სექტორი და საწყის ეტაპზე გადადგმულმა ნაბიჯებმა კარგი შედეგი გამოიღო — მოგვარდა იმ დროისთვის ყველაზე აქტუალური, გაცდენების საკითხი, გაუმჯობესდა დისციპლინა.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივ-მეთოდური კათედრები, სადაც საინტერესოდ წარმართავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს კათედრის ხელმძღვანელები და პედაგოგები:

დაწყებითი კლასების კათედრა: **მანანა ცერაძე** (ხელმძღვანელი), **ნელი ავალიანი, ნათია ბესელია, თეა გაბრიჭიძე, ლიანა გიგაური, ნინო გიგოლაშვილი, ეკატერინე გულიაშვილი, ქეთევან გულიაშვილი, მზია დათუნაშვილი, თამარ ვადაჭკორია, მანანა კილაძე, ხათუნა კოპალიანი, ნინო ლაზარიაშვილი, ირმა მახარობლიძე, დარეჯან მეგრელიშვილი, ია მთავარაშვილი, ნინო ჟორჟოლიანი, თამარ სისაური, მაია ურიგაშვილი, თეა ჩხეიძე, ნანული წერეთელი;**

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა: **ნატალია ბენიძე** (ხელმძღვანელი), **სვეტლანა ბოკუჩავა, ნინო გაბრიელაშვილი, ნინო იმნაიშვილი, ნინო კაპანაძე, მაია კოპალეიშვილი, ლია მინაშვილი, ლალი ნასყიდაშვილი, ქეთევან შარაშენიძე, მაია ჭალიაშვილი.**

მათემატიკის კათედრა: **ეკატერინე ცქიფურიშვილი** (ხელმძღვანელი), **მანანა ადამაშვილი, მაია რუსიშვილი, ლია გიორგაძე, ნანა სიხუაშვილი, ნინო უმიკაშვილი, ლალი ქაფიანიძე; ნუნუ ესართია** და **მარინე ეძგვერაძე** (ფიზიკა); ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი **ქეთევან ჭაფოძე**.

უცხო ენების კათედრა: **ნანული ბასიაშვილი** (ხელმძღვანელი, რუსული ენა), ინგლისური ენა — **ნინო ალადაშვილი, მზია არაბაშვილი, რუსუდან ბარბაქაძე, თამარ ერისთავი, ელენე ზაალიშვილი, იზა ესართია, ანა მჭედლიშვილი, ლია ნადირაშვილი**; რუსული ენა — **ლია ანთიძე, მაია მამისაშვილი, ინესა დემეტრაშვილი, ნინო ნარიმანაშვილი; ინდიანა ბულეიშვილი** (გერმანული ენა).

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა: **ზაირა ბურდული** (ხელმძღვანელი; ისტორია), გეოგრაფია – **ლელა ანთია, მაია ლობჟანიძე, ნუნუ მენთეშაშვილი, ნანა ფერაძე;** ისტორია – **ნინო გერმისაშვილი, ნინო მაისურაძე, ლამარა დურგლიშვილი;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა: ბიოლოგია – **მარინე გახარია** (ხელმძღვანელი), **ირმა კოზმავა, ხათუნა ჭელიძე;** ქიმია – **მარინე დუდუჩავა, ლალი თევზაძე, სოფიკო ლულუნიშვილი;**

ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა: **ინესა ბარამიძე** (ხელმძღვანელი), **ელისო ვეშაპიძე** და **მალხაზ კურდღელაშვილი** (სპორტი), **თოვლია მიქავა** და **ანნა უბილავა** (მუსიკა), **ნინო ფიჩხნარაშვილი** და **ნინო ქავთარაძე** (ხელოვნება);

განათლების თანამედროვე მოთხოვნათა თუ რეფორმისეული სიახლეების გატარებაში დირექტორთან ერთად შემოქმედებითად ილვწიან დირექტორის მოადგილეები — **ქეთევან ლაზარიაშვილი** და **მანანა მელიქია.**

ქეთევან ლაზარიაშვილი: 3 წელია ჩვენს სკოლაში არაფორმალური განათლების გაუმჯობესების მიზნით, შემოსულია არასამთავრობო ორგანიზაცია ვორლდვიჟენი. ისინი ახორციელებენ არაჩვეულებრივ პროექტებს, ღონისძიებებს, რომლებშიც მოსწავლეები დიდი ხალისით არიან ჩართულები. ახლახანს, World Vision-ის კლუბმა **„კომუნიკატორმა“** თვითმმართველობასთან ერთად ჩაატარა სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო და დედაენის დღესთან დაკავშირებით მოაწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ამ ორგანიზაციისგან არაერთი სამადლობელი მიგვიღია ჩვენი მოსწავლეების შესახებ. მათთან აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობის

თავმჯდომარე **მიხეილ ქირია**, მოადგილე **ელენე კოკაია** და სკოლის ვორლდვიჟენის ხელმძღვანელია **მაია საგინაშვილი**.

თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან საინფორმაციო მენეჯერი **ნინო ჩხობაძე** და საქმისმწარმოებელი **მაია მილაძე**.

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები ეროვნულ ოლიმპიადებში, რაიონულ, საქალაქო თუ სპორტულ ღონისძიებებში; **„ყველაზე წიგნიერის“** გამარჯვებულები გახდნენ მე-9კლასის მოსწავლეები (დამრიგებელი **ინესა დემეტრაშვილი**) და მე-8 კლასელები (დამრიგებელი **ნინო კაპანაძე**); ძალიან ლამაზი საშობაო კარნავალი მოამზადა მუსიკის მასწავლებელმა

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

➔ გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

რეფორმა გაითავისე და მოლოდინი ოპტიმისტურია

თოვლია მიქავამ; გამორჩეული იყო დაწყებით კლასებში **ირმა მახარობლიძისა** და **მაია კილაძის** ჩატარებული გაკვეთილები – **„პროფესიები"**. ასევე საინტერესო ღონისძიებები ჰქონდათ **ნინო ლაზარიაშვილს, ნინო ჟორჟოლიანს**, **მანანა ცერაძეს**; მე-6 კლასელებმა (ხელმძღვანელი **მაია ჭაღიაშვილი**) სპექტაკლი დადგეს თეატრალურ სარდაფში. აღსანიშნავია **მანანა ადამაშვილის** მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილი მათემატიკაში

— 2 პარალელური კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. წლის ბოლოს, 26 მაისისთვის სკოლა ემზადება ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის, რომელსაც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი **ზაირა ბურდული** ატარებს; ჰყავთ არაჩვეულებრივი ქორეოგრაფიული ანსამბლი ქორეოგრაფ **ალეკო ქართველიშვილის** ხელმძღვანელობით.

იმ მცირე დროში, რაც სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს, ბევრი რამ გაკეთდა: ძველი, უხარისხო კამერები ახლით შეიცვალა და ამჟამად 18 კამერით კონტროლდება მთელი პერიმეტრი; აღდგა რადიო-კვანძი; სკოლის გამწვანება-განაშენიანებაზეც იზრუნეს; თუმცა პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები ჯერ კიდევ განსახორციელებელია. წლებია სკოლას არა აქვს ღობე და ბატონი ბესარიონის ძალისხმევით, ამ ზაფხულს ეს პრობლემა მოგვარდება, რაც უსაფრთხო გარემოს შექმ-

ნისთვის უპირველესია. რამდენიმე წელია სკოლა ეროვნულ გამოცდებს მასპინძლობს, ფორმდება მემორანდუმი და ეროვნული გამოცდების ცენტრსაც თავისი წვლილი შეაქვს სარემონტო სამუშაოებში. ამ ზაფხულს ჩასატარებელ სამუშაოებს შორის ერთ-ერთია თეატრალური სარდაფის გარემონტების საკითხი, რომელიც მოსწავლეთათვის დიდი საჩუქარი იქნება. 39-ე სკოლა საკმაოდ მოთხოვნადია, აქ 1600-მდე ბავშვი სწავლობს და საკლასო ოთახების სიმცირეს განიცდიან. ახალი დირექტორი ახალი საკლასო ოთახების მიშენებასაც გეგმავს; სკოლის ტერიტორია საკმაოდ დიდ სივრცეზეა და აქ იგეგმება მასშტაბური, თითქმის მილიონიანი პროექტის – სპორტული ცენტრის – განხორციელება, რომელიც საუკეთესო კომპლექსი იქნება მთელი რაიონის ბავშვებისათვის.

ბესარიონ სიხარულიძე: „ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი, თუმცა ყველფერი ერთდროულად არ ხერხდება. მიმაჩნია, რომ განათლების სამინისტროს მხრიდან დაანონსებული სიახლეები უპრეცედენტოა, ასეთი მასშტაბის ძირეული რეფორმა აქამდე არ გატარებულა. მოლოდინი ოპტიმისტური და იმედისმომცემია."

დიახ, ასეთი შემოქმედებითი, გატაცებული მუშაობა ნამდვილად ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ნათია გურგენიძე

14 აპრილი დედაენის დღე

ქართული ჟღერდა ისტორიულ ციხე-ქალაქში

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების დელეგაცია, კულტურული მისიით თურქეთში, ისტორიულ ყარსსა და ანისს სტუმრობდა, სადაც დედაენის დღე - 14 აპრილი, გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ქართული ტაძრის ეზოში აღნიშნა. ღონისძიების ინიციატორი გახლდათ ჟურნალ **„ანეული''**-ს რედაქტორი **თამარ შაიშმელაშვილი,** ხოლო კულტურულ ექპედიციას ხელმძღვანელობდა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი **დავით შემოქმედელი.** დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, ხელოვანები, ჟურნალისტები... აღნიშნულ დელეგაციას ექსკურსია მძღოლობას უწევდა **ნიკა ცხომელიძე.**

დავით შემოქმედელი, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი: ქართული ენა არის ის ციხესიმაგრე, რაც უფალმა შემოარტყა საქართველოს, დიდი ილიას სამი ჰიპოსტაზიდან რომ ქართული ენა არის ერთ-ერთი უმთავრესია, სავსებით ვეთანხმები იმ აზრს, რომ ენა იგივე ერია. ის, რომ საქართველო დღეს მძიმე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში ასეთი აგრესიული მტრების გარემოცვაში გადარჩა, უმთავრესი მისი დამცველი იყო ქართული ენა, იგივე ლაზარე. ამ ენას, ჩვენს დიდ სიმდიდრეს, საგანძურს კიდევ მეტი მოფრთხილება სჭირდება. საგულისხმოა, რომ სწორედ ანისში, მართლმადიდებლურ ტაძარში, წმინდა ნინოს უძველეს უნიკალურ ფრესკასთან ვლაპარაკობთ ქართულ ენაზე.

გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი: ეს ღონისძიება ქართული ენის სიყვარულის ყველაზე ლამაზი გამოხატულებაა. ჩვენი პატივისცემისა და მოკრძალებული წვლილისა, რომ არ დავივიწყოთ და არ დავკარგოთ ის, რამაც შექმნა ჩვენი ისტორია, ეს ტაძარი მოწმობს, სანამდე წვდებოდა დიდი საქართველოს ხმა, დავითის ძალა და უნარი დიდი საქართველოს მართვისა, შემდეგ - თამარ მეფისა. ეს თამარ მეფის დროინდელი ტაძარი გახლავთ.

დელეგაციის წევრებმა ისაუბრეს ქართული ენის მნიშვნელობაზე, მის სიდიადეზე და ჩვენი წინაპრების ღვაწლზე. დასასრულს რეჟისორმა **მარინა კოლხიდაშვილმა** და ჯგუფის წევრებმა ქართული საგალობელი შეასრულეს..

დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ანისშიც დასამახსოვრებელი იყო, შემეცნებითმა მოგზაურობამ მეტად შთამბეჭდავი, ემოციური მოგონება დაგვიტოვა, იგი ლამაზ მოგონებად დაგვრჩება.

მზია გოგოძე

სწავლების მეთოდიკა

პროექტებზე დაფუძნებული სწავლება

რას მისცემს მოსწავლეებს პროექტებზე დამყარებული სწავლება და რატომ უნდა ვიმუშაოთ ამ მეთოდით?

ამ მეთოდით ბავშვი საგნებს კონკრეტულ პრობლემაზე და საკითხზე მუშაობის პროცესში სწავლობს. ის პრაქტიკულ ცოდნას იღებს და უფრო ინტერესდება კონკრეტული საგნით, მათ შორის საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებებით. პროექტებზე დამყარებული სწავლება განაპირობებს ბავშვის ლოიალობის ზრდას სკოლის მიმართ, იმატებს მისი ცოდნის ხარისხი და უვითარდება 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში სამუშაო ადგილების 47% რობოტიზებული იქნება. ხელოვნური ინტელექტი უკვე საკმაოდ დიდ კონკურენციას უქმნის სხვადასხვა პროფესიის ადამიანს. დღეს, გარკვეული დავალების შესასრულებლად, შესაძლებელია Google-ით ხმოვანი საუბრის წარმოება. მაგალითად, რესტორანში ადგილის დაჯავშნა. მოსწავლეები, სკოლის დასრულებისას, აბსოლუტურად სხვა რეალობაში აღმოჩნდებიან. გაჩნდება ახალი პროფესიები და მათ დასჭირდებათ სხვა უნარ-ჩვევები, ცოდნა, რასაც, სამწუხაროდ, დღევანდელი განათლების სისტემა ვერ აძლევს.

21-ე საუკუნეში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: კრეატიული აზროვნება, კომუნიკაციის და კოლაბორაციის უნარი, კრიტიკული აზროვნება. ბავშვებმა დღესვე უნდა დაიწყონ მომავლის პროფესიების – პროგრამირების, კომპიუტერული მოდელირების, 3D ბეჭდვის, ინდუსტრიული რობოტოტექნიკის, ელექტრონიკის – ათვისება.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის მიმდინარე სასწავლო პროცესი, რომელშიც ერთიანდება რამდენიმე სასკოლო საგანი. მოსწავლეები იძიებენ ინფორმაციას (პრობლემა შეიძლება იყოს ადგილობრივი, გლობალური). მოცემული პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზების პოვნის შემდეგ აკეთებენ მულტიმედია პრეზენტაციებს მოძიებული მასალების პრეზენტაციისათვის 21-ე საუკუნის იარაღების გამოყენებით. მოსწავლეები გვიჩვენებენ რა ისწავლეს, როგორ ითანამშრომლეს ერთმანეთთან, აფასებენ ერთმანეთს და საკუთარ თავს.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ეფუძნება შემდეგ აქტივობებს: როლური თამაში; რეალური სამყაროს სცენები; შერეული ჟანრები; მოსმენითი ჟანრები; ავთენტური შეფასება; ავთენტური აუდიტორია; რეალურ სამყაროში ჩატარებული ექსპერიმენტების შემოტანა საკლასო ოთახში; მრავალჯერადი უნარების შესაფასებელი აქტივობები; სხვადასხვა საგნების კვლევა და გაგება; მოსწავლეთა მიერ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა; თანამშრომლობა; კომუნიკაცია სხვადასხვა მეთოდით (წერა, ზეპირი საუბარი, ვიზუალური პრეზენტაციები და ა. შ.)

თუმცა არ ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ერთ პროექტში უნდა გამოიყენოთ, ამოირჩიეთ რამდენიმე ელემენტი და გააკეთეთ ისე პროექტი.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ზრუნავს განვახორციელოთ ჩვენი მისია მივცეთ განათლება ყველას. ის ყოველთვის გვახსენებს, რომ მოსწავლეები მოვამზადოთ მომავალი ცხოვრებისთვის.

მანანა გუმბერიძე,
თბილისის მე-10 საჯარო სკოლის
ინგლისური ენის პედაგოგი.

რუსთავის მე-17: ახალი სკოლის მოდელს ვქმნით

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო

აღზრდის, განათლების პრობლემა მარადჟამს აქტიურია. მას ყავლი არ გასდის. ოღონდ, დროის შესატყვისად იცვლება მისი ხერხები და მეთოდები; არსი კი იგივე რჩება - სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდა. ეს კი ურთულესი და უსათუოესი რამაა. ამიტომ დასანახი და დასაფასებელია განათლების დარგის ყოველი პროფესიონალი, მოწოდებით პედაგოგი.

გთავაზობთ რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ნელი ლიქოკელის** წერილს. მკითხველი თავად განსჯის, რაოდენ ძალისხმევას იჩენს სკოლა ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად.

რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის პედაგოგები განუხრელად ეძიებენ და ჰპოვებენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესის ახალ-ახალი მიგნებებით შევსების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეთა ინდივიდუალობების გათვალისწინებით ნერგავენ სიახლეებს.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების სქემაში. ადმინისტრაცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

შედეგიც სახეზეა: თუ 2016-2017 სასწავლო წელს 7 უფროსი მასწავლებელი გვყავდა, ახლა 26 უფროსი მასწავლებელი და 14 პრაქტიკოსია.

გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად, ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს შვიდივე საგნობრივი კათედრა: ესთეტიკისა და სპორტის (ხელმძღვანელი - **თეა შარვაშიძე**), მათემატიკის (**ქეთევან კეთილაძე**), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (**მანანა ფიცხელაური**), დაწყებითების (**ლიკა მაისურაძე**), ქართული ენისა და ლიტერატურის (**ნინო ლარცულიანი**), უცხო ენების (**თამთა ლილუაშვილი**) და საზოგადოებრივი მეცნირებების (**ნათია ზვიადაძე**).

კათედრების მუშაობა ყველა პედაგოგს მოიცავს. შემუშავდა და ხორციელდება საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები. სახელდობრ: საგნობრივ ჯგუფებში შემავალი საგნების სწავლების კოორდინირება; ინტეგრირებული და თავისუფალი გაკვეთილების ჩატარება; პედაგოგთა პროფესიული სრულყოფის გზების დასახვა; წარმატების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა.

კათედრებივე უზრუნველყოფენ მოსწავლეთა საგნობრივ ოლიმპიადებში, ეროვნულ და სასკოლო კონფერენციებსა და კონკურსებში მონაწილეობას; წლის მანძილზე სუსტ მოსწავლეებთან ატარებენ დამატებით სამუშაოებს; მართავენ ვიქტორინებს, უშვებენ კედლის გაზეთებს, ამზადებენ სივრცით ფიგურებს. პროფორიენტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები: ,,იმიტირებული სასამართლო პროცესი", ,,არასრულწლოვანი და დანაშაული", ,,ჩემი თვალით დანახული ადამიანის უფლებები'", ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს" და სხვა. მუშაობს საგნობრივი კლუბები და წრეები; იმართება ექსკურსიები („სიწმიდეების კვალდაკვალ") და კონკურსები (მხატვრულ კითხვასა და ფერწერაში); ასევე, ეწყობა გასვილითი გაკვეთილები ხელნაწერთა სახელმწიფო ინსტიტუტში. მოქმედებს თოჯინების თეატრი; კათედრები აქტიურადაა ჩართული სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრეინინგებსა და სემინარებში.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, პედაგოგიური ტალანტის, ინოვაციური ფიქრის, ინიციატივის, ენერგიის, ერთიანობის, ერთგულების, ერთმანეთისადმი ურყევი ნდობის, ერთმანეთის ინტერესებისადმი ყურადღებიანობის, ერთმანეთის ინტერესებისადმი ყურადღებიანობის, ერთმანეთის ინტერესებისადმი ყურადღებიან

სამხატვრო ხელოვნების პირველი სკოლა – წარმატების გზით

თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა დაარსებიდან 65 წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე სკოლის მოსწავლეებმა არაერთგზის ასახელეს საქართველო საერთაშორისო გამოფენა-კონკურსებზე (იაპონია, ჩეხეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, უკრაინა, ბელორუსია, შვეიცარია, ეგვიპტე, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ლატვია, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია და მრავალი სხვა). მათ მოპოვებული აქვთ უამრავი ჯილდო, დიპლომი, სიგელი, მედალი. ზოგი მათგანი წარმატებით აგრძელებს სწავლას ჩვენს სკოლაში: **ლ. მურვანიძე** (ოქროს ვარდი, ჩეხეთი ლიდიცე), **მ. როყვა, ნ. ხვისტანი, სანდრო** და **ლექსო კელაპტრიშვილები, ნ. ჩხეტიანი, ანა** და **გიორგი დამენიები, ქ. სანაძე, ე, ნარიმანიძე, გ. გიგაური** (ბავშვთა საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი, ფესტივალი, თურქეთი), **ა. ბახშიევი, ბაჩუკი და ბოჩია შონიები, ა. ძიძიგური, თ. სალია, ე. პაპასკირი, ე. გორგაძე, ს.ხმალაძე** (ტოიტა, იაპონია), **ს. ბაიდარაშვილი** (ტოიოტა, იაპონია). წლევანდელი გამარჯვებული მისი ნამუშევარი გაიგზავნა იაპონიაში).

ასევე სკოლა აქტიურადაა ჩაბმული საქალაქო და რესპუბლიკურ გამოფენებში. გაფორმდა არაერთი მემორანდუმი სკოლებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

სამხატვრო სკოლაში დღეისთვის მოღვაწეობენ გამორჩეულად ნიჭიერი მხატვარ-მასწავლებელები: **მ. კაკაბაძე, მ. კიკაჩეიშვილი, ნ. ყუფარაძე, თ. რაზმაძე, მ. ქინქლაძე, ი. თავაძე, მ. კაციტაძე.** სკოლა მუდმივად მზად არის ხელი შეუწყოს დამწყებ მასწავლებლებს, ხშირად არიან სტაჟიორები მერიის პროგრამით. წელს განსაკუთრებით ამაყები ვართ, რადგან ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები: **დ. ბარნაბიშვილი და თ. ქვლივიძე** გადიან სტაჟირებას, მათმა მოსწავლეებმა: **ელისო, გიორგი, ლუკა და მათე სოხაძეებმა, მ. შუშკევმა, ა.სახელაშვილმა, ხ. ბაბაკიშვილმა,** უკვე გამოიჩინეს კიდევაც თავი სხვადასხვა გამოფენებში. პარალელურად ისწავლება გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ხეზე კვეთა, ჭედურობა, ლითონის დამუშავებას ასწავლის - **ვლ. გაბრიჭიძე,** ქსოვილების - ფარდაგი, გობელენი, თექა, ხალიჩა - **თ. თავაძე.** ასევე ისწავლება მინანქარი - მასწავლებელი: **ნ. ნიკოლაიშვილი,** დაემატა ჭადრაკი - **გ. თურმანაული,** ფოლკლორი - **ლ. ნადირაშვილი, ი. გვეტაძე, მ. მჭედლიძე,** ასევე მხატვრული კითხვა-მეტყველება **- ქ. გობეჩია.**

სკოლას 2007 წლიდან წარმატებით უძღვებიან სკოლის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე - ქ. ბარნაბიშვილი და მოადგილეები ხელოვნებათმცოდნე - ს. ნადიმაშვილი და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი - გ.მეგრელიძე, რომლებიც ასევე წარმატებულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან. ისინი ასწავლიან ხელოვნების ისტორიას, კინოსა და თეატრის ისტორიას. აქტიურად დადიან მუზეუმებში და მოსწავლეებს უტარებენ ღია გაკვეთილებს, ათვალიერებენ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, სადაც სახვითი ხელოვნების მასწავლებლებთან ერთად აკეთებენ ჩანახატებს და ადგილზე ეცნობიან საქართველოს კულტურასა და ისტორიას.

ახლახანს სკოლის ნამუშევრები გამოფენილი იყო ლატვიის რესპუბლიკის დედაქალაქ რიგის საერთაშორისო უნივერსიტეტ „ტურიბაში“, სადაც ისინი მიწვეულნი იყვნენ „ტურიბას“ ხელმძღვანელობის მიერ. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად იყო ჩართული ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **ბექა ბერიაშვილი,** სკოლის დირექტორი **ქ. ბარნაბიშვილი,** მოადგილე **გ. მეგრელიძე** და მასწავლებლები: **მ. კიკაჩეიშვილი, ნ. ყუფარაძე, მ. კაკაბაძე, თ. რაზმაძე, მ. ქინქლაძე, თ. თავაძე.** გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი: **თეა**

თავაძემ თავის მოსწავლეებთან ერთად შექმნა უაღარესად საინტერესო თექისა და გობელენის კომპოზიციები. **მარიამ ხუჭუამ, რუსუდან ადუაშვილმა, თეონა შაშიაშვილმა, მარიამ სერაშვილმა** ქართული ტრადიციული ორნამენტები სახასიათო ფერებით გააფორმეს. გამოფენისთვის სპეციალურად სასაჩუქრე სუვენირები: დეკორატიული ხილი, თავსაბურავები, მცირე ზომის ხურჯინი და სხვა გააკეთეს: **ს. ნარსავიძემ, ნ. სიხარულიძემ, ანა ომიაძემ, ნ. თედორაძემ, ს. ჩეხერიამ, ანანო** და **მარიამ ბერანძეებმა** და **ა. გოგოლმა. ე. ვეფხვაძემ** თექაში მოთელა ლატვიურ თემაზე საინტერესო სიუჟეტი. გამორჩეულად საინტერესო აღმოჩნდა სახვითი მასწავლებელების მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებზეც, გემოვნებით იყო მისადაგებული ფერი, განათება და შესრულების მანერა, რომ მნახველი აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

გამორჩეულად გვინდა აღვნიშნოთ მასწავლებელ **მ. კიკაჩეიშვილის** პროფესიონალიზმი, თანადგომა და სწორი მიდგომა, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. უაღრესად საინტერესო გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები შექმნეს მისმა მოსწავლეებმა: **ლ. მურვანიძემ, ა. დამენიამ, ა. გაბრიჭიძემ, ლ. ენუქიძემ, ალ.ხალვაშმა, ლ. დანელიამ, გ. გიგაურმა. მასწავლებელი თ. რაზმაძე** გამოფენაზე ყველაზე მცირე ასაკის მოსწავლეებით წარსდგა: **ა. კალაშნიკოვა, ნ. უტურაშვილი, სანდრო და არჩილ მაისურაძეების, ლ. კაკაურიძის** ნამუშევრებით. მასწავლებელ **მ. ქინქლაძის** აღსაზრდელებმა: **მ. საღინაძემ, თ. გოგოლმა, ელ. პაპასკირმა** აღსაზრდელებმა ძირითადად იმუშავეს პასტელში. სასიამოვნოდ გაგვახარა **ნ. ყუფარაძისა და მ. კაკაბაძის** მოსწავლეთა რ.ბურდულის, **მ. აფციაურის, მ. გოგლიძის, ნ. მიქაძის, ი. მელაძის** ნამუშევრებმა. განსხვავებული ხელწერით ტუშით შერულებული კომპოზიციებით წარსდგა **ს. დოლიკაშვილი.** ტყავზე მოიხატა რიგის პეიზაჟები მასწავლებელ: **თ.რაზმაძის** მოსწავლეებმა: **ალ.თოდუამ, ა.კოხრეიძემ, მ.ფაცაციამ, ზ.გვასალიამ, ს.თომაძემ, თათია** და **გიორგი ფხაკაძეებმა, ნ. გურულმა, ნ.მესხმა, ნ.ჭანჭალეიშვილმა, გ.აბულაძემ.**

გამოფენის გახსნას ეწრებოდნენ ტურიბას უნივერსიტეტის რექტორი **ალდიას ბაუმანისი,** საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი **ინგა ფალიანი,** საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი **გიგა აბუსერიძე** და დიასპორის წარმომადგენელი **ანა ოკრიბაშვილი.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები გადაეცა ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს. მიღებაზე მიწვეული იყვნენ ქეთევან ბარნაბიშვილი და გამოფენის ორგანიზატორი **ბექა ბერიაშვილი,** საქართველოს ელჩმა **თეა მაისურაძემ,** საელჩოს თანამშრომლებმა: **ინგა ფალიანმა, გიგა აბუსერიძემ** და დიასპორის წარმომადგენელმა **ანა ოკრიბაშვილმა** აღნიშნეს ამ გამოფენის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური და მეგობრული ურთიერთიბის განმტკიცების საქმეში.

სკოლა სამომავლოდ ემზადება გრანდიოზული გამოფენისთვის **„მე მინდა საქართველო მიცნობდეს“,** რომელიც ჩატარდება თბილისის სასტუმრო ბილტმორში. აღნიშნულ ღონისძიებაში აქტიურად არიან ჩართული მასწავლებელ მაია კიკაჩეიშვილის მოსწავლეები: **მ. გურგენიძე, ა. გვარჯალაძე, თ. მელაძე, ც. წამალაშვილი, ა. გაბრიჭიძე, ლ. დანელია, სალომე, მარიამი** და **ლაშა ქურციკიძეები,** მასწავლებელი: **მაია ქინქლაძის** ჯგუფის მოსწავლეები: **ლ. მაისურაძე, მ.თათეიშვილი, ა. ბოცვაძე, ა. ბოკუჩავა, ა. სუსუნიაშვილი, ა. დარბაისელი, ნ. სანებლიძე, თ. ალფენიძე, ი. კოპალეიშვილი, მ. ლატარია, თ. გოგოლი, მ. კანდელაკი, ალ. ბარავი, ს.მარგველიძე, თ. მეტრეველი, ს. კუჭაიძე. მასწავლებელი: ნ. ყუფარაძისა** და **მ. კაკაბაძის** მოსწავლეები: **ა. წერეთელი, დიმიტრი** და **მარიამ ბერიები, თ. ეგნატაშვილი, ა. ებანოიძე, მ.გოგლიძე, ალ. ლაბარტყავა, მ. ჟღენტი.**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამხატვრო სკოლაში 152 სოციალურად დაუცველი მოსწავლე იღებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მათი უმრავლესობა სწავლობს გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგებს, როგორებიცაა: ხის დამუშავება, ფარდაგისა და გობელენის ქსოვა და სხვა. მათ სწავლებას უზრუნველყოფს თბილისის მერია.

მათ შეუძლიათ თავიანთი შექმნილი ნამუშევრები გაყიდონ და თავიანთ ოჯახებს გაუწიონ მატერიალური თანადგომა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ხელოვანთა თვითრეალიზებასა და პიროვნულ წინსვლაში.

სამხატვრო სკოლაში ჩამოყალიბდა სიმღერის მოყვარულთა გუნდი, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობენ: **ლ.ნადირაშვილი, ი.გვეტაძე, მ. მჭედლიძე.** გულმოდგინედ მეცადინეობენ და წარმატებით მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში მოსწავლეები: **გვანცა, თამარ** და **მარიამ იზმაილოვები, ლ. გელდიაშვილი, ლაშა, დავით, ნინი** და **ილია შალვაშვილები, ა. სარქისიანი, თამარ** და **ლაშა მამადაშვილები, მ. პაპავა, ლიზი** და **ეკა ყობიაშვილები, ლ.ხორავა.**

ასე მიმდინარეობს სამხატვრო ხელოვნების სკოლის ყოველდღიური შემოქმედებითი ცხოვრება, რომლის მაღალმხატვრული სახე საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა წარმატებით მიიღონ მონაწილეობა რესპუბლიკურ და საერთაშორისო დონის გამოფენა კონკურსებში . სწორედ ეს გახლავთ ამ სკოლის განსაკუთრებულება და მნიშვნელობა, რომლის ტრადიციებზე არაერთი ხელოვანი თაობა აღიზარდა.

გუბაზ მეგრელიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი თავის სწავლებისათვის

(„წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისას“)



არაერთხელ დაწერილა **„ვეფხისტყაოსნის“**, ამ გენიალური ქმნილების, შესახებ სხვადასხვა ნააზრევი. პოემის თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია და სადავო საკითხებს მოიცავს, რომ ბუნებრივია მოსწავლეებსაც უჩნდებათ ესა თუ ის კითხვა. „ვეფხისტყაოსანი“ რამდენადაც მრავალმხრივია საკვლევად, იმდენად უტყუარ ცნობებს გვაწვდის და შეხედულებებს უქმნის მკითხველს ეპოქის მსოფლმხედველობის შესახებ. ამჯერად „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ თავზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ნაწარმოები ეპოქის შვილია და მოგეხსენებათ, ის ძირითადი პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული მიღწევები თუ კრახი აისახება მასში, რაც იმდროინდელ საზოგადოებას აღელვებდა. ჩვენ ვეხებით საქართველოს **„ოქროს ხანას“**, თამარის მეფობის პერიოდს. როგორც ჩვენთვის ცნობილია XII საუკუნეში აღორძინდა და განვითარდა საქართველო, მეცნიერების სხვადასხვა დარგი და მასთან ერთად საერო მწერლობაც. **გელათისა და იყალთოს** აკადემიებში **ასწავლიდნენ** მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულებას: **არითმეტიკას, გეოგრაფიას, ფილოსოფიას, ვარსკვლავთმრიცხველობას, ისტორიას,** რომელთა ღრმა კვალი ამჩნევია ამ გენიალურ ქმნილებას. მაგალითისთვის, ავტორი არაჩვეულებრივად იცნობს იმდროინდელ რუკას და შესაბამისად გადააადგილებს პერსონაჟებს სხვადასხვა ქვეყანაში. მის თექვსმეტმარცვლიან სტროფებში გამოყენებულია არითმეტიკა, კერძოდ, მაღალ შაირში ოქროს კვეთის ნიმუშები. „ვეფხისტყაოსანი“, უკვდავი საგალობელი მეგობრობისა და სიყვარულისა, ნასაზრდოებია ფილოსოფიური მოძღვრებით, ნეოპლატონიზმით. შუა საუკუნეებში წამყვანი ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც აღიარებს ერთ ღმერთს, მარადიულს და ადამიანს მოუწოდებს სულიერი და ხორციელი ამაღლებულობისაკენ, სრულყოფილებისაკენ.

დავუბრუნდეთ ზემოთხსენებულ თავს **„წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“,** რომელშიც აისახება შოთა რუსთაველის ცნობიერება ციურ სხეულებსა და სამყაროს სტრუქტურაზე. თუმცა, ავტორი პოემაში ხშირად მოიხმობს მნათობებსა და პლანეტებს მხატვრული ხერხების თვალსაზრისით, მაგრამ ავთანდილის გალობაში, სადაც ფრიდონისაკენ მიმავალი ცას შესტირის, მკითხველისთვის ნათელი ხდება ადამიანთა იმდროინდელი წარმოდგენები მნათობებზე, სამყაროსა და პლანეტებზე. ცხადია, რომ ავთანდილი ადამიანის ბედისწერას ცას უკავშირებს. ასევე ის, რომ XII საუკუნეში ადამიანები ცნობდნენ მზის სისტემის შვიდ პლანეტას: **მზე, მთვარე, ვენერა (ასპიროზი), მერკური (ოტარიდი), მარსი (მარიხი), სატურნი (ზუალი), იუპიტერი (მუშთარი)**.

რა თქმა უნდა, მათი არაბული სახელწოდებები განპირობებულია არაბულ-სპარსული ვარსკვლავთმრიცხველობით, იგივე ასტრონომია-ასტროლოგიით.

ბუნებრივია, რომ ადამიანზე ცა ყოველთვის გამოუცნობ შთაბეჭდილებას ახდენდა და ახდენს. ცის ტრიალი, დღე და ღამე, წელიწადის დროები, ერთი და იგივე მარადიული მოძრაობა. ცის ცოდნა სჭირდებოდა ნებისმიერი ხელობის ადამიანს. ცისა და ვარსკვლავების გაგება ამავე დროს ბუნების გაგება და ადამიანის ცხოვრების ახსნაც უნდა ყოფილიყო. ამ გაგება-ახსნასთან დაკავშირებით წარმოიშვა ასტრონომია და მასთან ერთად ასტროლოგია, ძველი და შუა საუკუნეების მანძილზე გაბატონებული ტყუპი მეცნიერება. ძველ ასტრონომიას ზეცა ისე არ ესმოდა, როგორც დღევანდელ მეცნიერებას, რადგან კაცი მაშინაც და დღესაც უბრალო თვალით მხოლოდ ცის მოძრაობას ხედავდა და დედამიწის ბრუნვას ვერ ამჩნევდა. ამიტომ ხმელეთი კოსმოსის გულად, უძრავ ცენტრად ითვლებოდა და მის გარშემო ცის ბრუნვა სინამდვილედ მიაჩნდათ. ადამიანებმა მზისა და მთვარის მსგავსად სხვა მნათობებიც გამოძებნეს, რომლებიც „ვეფხისტყაოსანშიც“ რამდენჯერმეა მოხმობილი. ძველი ასტრონომიის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობდა შვიდი პლანეტა: **ზუალი, მუშთარი, მარიხი, მზე, ასპიროზი, ოტარიდი, მთვარე.** მაშინდელი წარმოდგენით ეს შვიდი მნათობი თავისი სვლით, გავლენითა და სხვა ვარსკვლავებთან ურთიერთობით განაგებდა მსოფლიოს, განსაზღვრავდა დროს, მართავდა ბუნებასა და ცას, ადამიანების მომავალსა და მოქმედებებს. წესისამებრ მთვარე წელიწადის განმავლობაში თორმეტჯერ ივსება, ამიტომ ეს სარტყელი ადამიანებმა თორმეტ ნაწილად დაყვეს და თითოეულ ნაწილში არსებული თანავარსკვლავედი მიამსგავსეს ამა თუ იმ ცხოველსა თუ საგანს. რადგან **„ზოდია“** ძველბერძნულად ცხოველს ნიშნავდა, ამ სარტყელს დაერქვა ზოდიაქო.

ასტრონომია-ასტროლოგია (ვარსკვლავთმრიცხველობა) შუამდინარეთიდან წამოსული მეცნიერებაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენენ პლანეტები ბიოლოგიურ ორგანიზმებზე და მეცნიერების ეს დარგი სწორედაც რომ აქტუალური იყო შუა საუკუნეების საქართველოშიც. ამის დასტურია 1188 წლით დათარიღებული ასტროლოგიური ტრაქტატი. 1106 წელს დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემია დააარსა, სადაც მოღვაწეობდნენ არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და იქ მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად ისწავლებოდა ასტრონომია-ასტროლოგიაც. ვარსკვლავთმრიცხველობაში განსწავლულები იყვნენ, სავარაუდოდ, როგორც მეფეები, ასევე სასულიერო პირებიც, მათ შორის გიორგი მთაწმინდელი. მოგვიანებით ვახტანგ VI-მ თარგმნა ასტროლოგიური კატალოგი, რომელიც დღეს მუზეუმში ინახება **(ვიქტორ ნოზაძე „ვარსკვლავთმეტყველებისათვის“).**

დავუბრუნდეთ ისევ „ვეფხისტყაოსანს“, დავიმოწმებ ცნობილი ქართველი ასტრონომის, გიორგი თევზაძის, სამეცნიერო ნაშრომს „რუსთველის კოსმოლოგია“, რომელშიც სწორედ ზემოთხსენებული „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავია განხილული. რუსთველოლოგიაში კვლევა ამ მიმართულებით ადრევე დაიწყო ვახტანგ VI-მ. **გიორგი თევზაძემ** გამოიკვლია, რომ ასტრალული შინაარსის შემცველი

ყოველი სტროფი ციურ მოვლენებზე დაკვირვებისა და მათი ჭეშმარიტი ცოდნის შედეგია. ამ მიმართულებით კვლევამ დაადასტურა, რომ ციურ მნათობთა შერჩევა „ვეფხისტყაოსანში“ შემთხვევითი არ არის და არც მხოლოდ პოეტური მიზნებისთვის არის მოხმობილი. მკითხველისთვის ნათელი ხდება თუ როგორია პოეტის წარმოდეგენები სამყაროს ცალკეულ ნაწილებსა და მის სტრუქტურაზე. შოთა რუსთაველმა თავის თხზულებაში გადაიტანა მაშინდელი ასტრონომიული ცოდნა და შეხედულებები. ასტრონომიის განვითარების გზები რუსთაველის ეპოქამდე იყო გეოცენტრული (პტოლემეუსის) მოდელი, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრია, არ გადაადგილდება და ყოველი ციური სხეული თანაბარი სიჩქარით მოძრაობს მის გარშემო. ეს მოდელი, რა თქმა უნდა, მცდარია, მაგრამ კარგად ერგებოდა ბიბლიურ წარმოდგენებს სამყაროს აგებულებაზე. აღსანიშნავია, რომ რუსთაველის ასტრალური წარმოდგენები ემსგავსება თანამდეროვეს, ანუ ჰელიოცენტრულს. მისთვის მთავარი ციური სხეული მზეა. **„მიმავალი ცისა შესტირის, ეუბნების, ეტყვის მზესა“... „აჰა, მზეო, გეაჯები, შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“**. ნესტანის საძებნელად წასული ავთანდილი შემწეობას სწორედ პლანეტებს სთხოვს, რადგან მაშინდელი შეხედულებებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასტრალური სამყარო გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა ადამიანის ბედისწერაზე.

რუსთაველის ასტროლოგიური შეხედულებით **ზუალი (სატურნი)** უბედურების მომტანი პლანეტაა და მის ფერად შავი ითვლება: **„მო,ზუალო, მომიმტე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირისა“**. **მუშთარი (იუპიტერი)** ბედნიერების მომტანი და სამართლიანობის პლანეტაა: **„ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ მართალსა, ბრჭესა, ღმრთიელსა“**. **მარიხი (მარსი)** ომის პლანეტა: **„მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა“**. **ასპიროზი (ვენერა)** სილამაზის, სიყვარულის და ბედნიერების მომტანია. **ოტარიდი (მერკური)** ჭკუის, მოხერხების პლანეტაა. იგი ასევე მწერლობის მფარველადაც ითქმებოდა: **„დაჯე წერად ჭირთა ჩემთა მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა“**.

ამრიგად, შოთა რუსთაველი ღრმად განსწავლული ყოფილა, როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ასევე ასტრონომია-ასტროლოგიაშიც. ის ისტორიული ფაქტები, რომ თვით აღმაშენებელი, გიორგი პირველი თავად ადგენდნენ ასტროლოგიურ კალენდარს მიგვითითებს მეცნიერების ამ დარგის აქტუალურობაზე. ამის დასტური სწორედ ავთანდილის სიმღერაა. ასევე ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ: **„ზუალ, მუშთარ შეიყარნენ“**. ავტორმა მიჯნურების შეხვედრა **სატურნისა და იუპიტერის** შეხვედრას შეადარა, რომელიც ცის კაბადონზე ოც წელიწადში ერთხელ ხდება. ასევე ავთანდილისა და ტარიელის პაემანი **„მიწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა... ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“** ე.ი. მზე კირჩხიბის ზოდიაქოში შესასვლელად ემზადება, **(სარატანი იგივე კირჩხიბი, სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონა“)**. ვარსკვლავთმრიცხველობა რომ შუა საუკუნეების წამყვანი მეცნიერება იყო, მოწმობს ასევე სვეტიცხოვლის ზოდიაქოს რკალი, რომელიც მელქისედეკ კათალიკოსის ბრძანებით მოუხატავთ ტაძრის ერთ-ერთ კედელზე.

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით, ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რუსთაველის მსოფლმხედველობა ქრისტიანობას ეფუძნება, მაშ რამ განაპირობა ის, რომ შოთამ თავის პოემაში ჩართო და წინ წამოწია ვარსკვლავთმრიცხველობა? ცხადია, დღეს ქრისტიანობა და ასტროლოგია ერთმანეთს გამორიცხავს.

ქრისტიანობა აღმოცენდა იმ სამყაროში, სადაც ბატონობდა ასტრალური ფატალიზმი **(მნათობებით ბედისწერის წინასწარ განსაზღვრა)** და სტოიციზმის სწავლება მოვლენების ბუნებრივ მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების შესახებ, ანუ იმის რწმენა, რომ სამყაროში ადამიანის ბედი წინასწარაა განსაზღვრული და ის მისტიკურადაა დაკავშირებული ციურ სხეულებთან. თავდაპირველად სასულიერო პირები გმობდნენ ასტროლოგიას, გამოაცხადეს მაგიის ერთ-ერთ სახეობად. თუმცა ნეოპლატონიკოსებმა მოახერხეს V საუკუნეში ასტოლოგიური ცოდნების სისტემატიზაცია, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების გაცნობიერებას ასტროლოგიურ საკითხებში. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ერის სულიერი მამა, გრიგოლ ხანძთელიც ეუფლებოდა ნეოპლატონიკოსთა ფილოსოფიურ მოძღვრებას **„ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთა ისწავლა.“** ამ პოზიციის წყალობით, ქრისტიანულმა და ძველ აღთქმისეულმა დეტალებმა დაიწყეს შეღწევა ასტროლოგიაში და დაიკავეს განსაზღვრული ადგილი შუა საუკუნეების მსოფლმხედველობაში, რაც გარკვეულწილად იმ ეპოქის კულტურაზეც აისახებოდა. შუა საუკუნეებში ზოდიაქოს ნიშნები საკმაოდ ხშირად გამოისახებოდა არქიტექტურულ ორნამენტებზე, რომლებსაც დღესაც იხილავთ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილო შესასვლელთან, სან დენის ბაზილიკაზე. მსგავსი ანალოგიაა სწორედ სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახული ფრესკული ეტლთა რკალი. ფრესკაზე თანმიმდევრობით განლაგებული **თორმეტი ეტლი თორმეტი მოციქულის** (რელიგიური სიმბოლოები) გამოსახულებით არის წარმოდგენილი. რამ განაპირობა ყოველივე ეს? ვფიქრობ, სწორედ სამყაროს გეოცენტრულმა მოდელმა, რომელიც ასე კარგად ერგებოდა ბიბლიურ წარმოდგენებს სამყაროს აგებულებაზე. სავარაუდოდ, ეკლესიამ ასტროლოგია გამორიცხა მას შემდეგ, როცა კაცობრიობისთვის ნათელი გახდა სამყაროს ჰელიოცენტრული მოდელი.

ამრიგად, პოემის შესწავლისას გამოსაკვეთი და გასაანალიზებელი თემაა რუსთაველის კოსმოლოგია. მოცემული მსჯელობისა და სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ სხვა ჭრილში, სხვა კუთხით გაიაზრონ და გააანალიზონ შოთა რუსთაველის ცნობიერება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პოემისა და მისი ავტორის გენიალურობაზე.

მარიამ ჩიბარაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი.

ნაირას ლექსი ვადიდოთ — საბავშვოცა და სადიდოც

ჰიმნი გაზაფხულისა და შრომისა

გაზაფხული ყველა სულიერის შთაგონების წყაროა და რაღა ცნობილი საბავშვო პოეტის ***ნაირა ნიჟარაძის*** *მუზას აუქცევდა გვერდს? ბარაქიანი პოეზიით გვეწვია პოეტი რედაქციაში. კომენტარებს სჯობს მკითხველმა თავად იყნოსოს, შეირგოს, შეიგრძნოს მისი ახალი სტრიქონების ნელსურნელება,* ***„ლექსი მეწყერის“*** *სტიქია.*

ნაირა ნიჟარაძე

გაზაფხულის სტიქია

– ყაყაჩოვ, ქართული მიწის მშვენებავ,
ისე გაშლილხარ, როგორც გენება.
– ატმის ყვავილო, დილიდ გამთენო,
მიხაკნო – წითლად მოღაჟღაჟენო,
იასამანო – მიწის წამალო,
მზესუმზირებო, მზისკენ მავალნო!
– ღიღილოვ, ლურჯო, ცის შესადარო,
– ვარდო, სულ მინდა გულზე გატარო.
– ტიტებო, ჩვენი ეზოს ასულნო,
– ბაბუაწვერავ, ყვითლად მოსულო!
–გიყვართ ეს მიწა, სადაც იზარდეთ,
გიყვართ მზის გულზე, რაც განიცადეთ.
თქვენ ჩემი ქვეყნის ხართ ბინადარნი,
მისი ცეცხლი და მისი ღადარი!..

მინა და ბიჯი

ბიჯი: მიწავ, მიწავ, ხნიერო,
შავო და ნოყიერო,
თესლს მოგართმევ ოქროსფერს,
შემოგავლებ ორღობეს.
მიწა: წითელხალათიანო,
გაზაფხულდა, გენაცვა,
მომაყარე ხორბალი,
თესლს არ უყვარს შენახვა.
და თუ დაიგვიანებ,
გავამრავლებ ბალახებს,
თუ მშრომელი არა ხარ,
მაშინ კაციც არა ხარ!..

გაუმარჯოს მშრომელებს!

– ვინ დათესა ნესვი, გოგრა?
ტრიალებდა ლუკა, გოგა,
საზამთრომაც გაიხარა,
ბიჭს არა აქვს დღისით მოცლა.
ბარით ეზო გადაბარეს,
არ აქვთ ბინა მძრომლებს,
ჭიშკარზე კი წააწერა:
„გაუმარჯოს მშრომელებს!“

სოფლად

რა უხარია ლუკასა,
ან რა სიმღერას უკრავსა?
– ხნულში თესლები ჩავყარე,
ამოდის ნუში, ატამი.
გოჭიც მყავს ყურებცანცარა
და კვერცხისმდები ქათამი!

მეგობრები

გაზაფხული დამდგარა,
ხეში წყალი ჩამდგარა,
ყვავილები მინდვრებში,
გასაშლელად ამდგარა.
ბებოს მოაქვს თესლები,
– მოდით, მალე დათესეთ
ქინძი, კამა, ცერეცო
და თვალყური ადევნეთ.
დატრიალდა კაკალა,
მარჯვედ თესავს კარტოფილს,
ჯაფოც მასთან გამოჩნდა,
თესავს ნაკვეთს გაყოფილს.
ერთად დასხდნენ სადილად
ჯორჯო, ჯაფო, კაკალა,
– სამ კვირაში ამოვა, –
ბებომ ყველას ახარა!

ბიბლიოთეკა

მათე მიჰყავთ კვირა დღეს,
სასეირნოდ ბაზარში,
– წიგნს მიყიდი, მამიკო?
ცუდი რაა ამაში.
– მიყვარს ბრძენი წიგნები,
შიგ წერია ფიქრები,
ნახატები ფერადი,
მთები ციდან სერამდი.
–მიყვარს ბიბლიოთეკა,
წიგნი ახალთ-ახალი,
თაროები მაგარი,
დიდები და მაღალი!

საით?

საით გარბიან ქართველნი?
ვის ემსახურებიან ასე?
დაიპყრეს ძვირფასო, ადგილი, მამული,
ამ უცხო პირებმა მთაზე.
– ღმერთო, დიდებულო,
მოხედე ქვეყანას,
ძირძველს და გმირებით სავსეს,
რა ადათ-წესები, რა სანეტარონი,
ბუნება სიცოცხლით გვავსებს.

მთაში ცხოვრებას რაღა სჯობს

მიქრის ცხენი მარდად
განა ეშინია,
ძირს არაგვი მოქუხს,
თეთრი ქვები ჰყრია.
დაწინწკლული, წყალში,
კალმახები ხტიან,
მაღლა, კლდეზე მაღლა,
არწივები ქრიან.
ბილიკები ვიწრო,
ცისკენ ისწრაფვიან,
იქ ცხოვრობენ ჩვენი
მინდია და მზია!..

გიგანტური კუ

გიგანტური კუ მოცურდა
არხეინად გემის ახლოს,
გამოცვივდნენ პატარები,
ყველას უნდა დაინახოს.
ბაკანი აქვს რკინის დარი,
დიდი, ჭრელი თავზე ხურავს,
თვალები აქვს მობრიალე,
ზღვის ტალღებში მარდად ცურავს.
– დავიჭიროთ და ჩვენს ტბაში
ჩავიყვანოთ, – ყვირის ლუკა.
– არა, შვილო, იქ იცუროს,
სადაც იშვა, სადაც უყვარს.
სადაც მისი სამშობლოა,
იქ ჰყავს დედა, სადაც გაჩნდა.
გატრიალდა დიდი კუ და
ლურჯ ტალღებში აღარ ჩანდა.

ლეილა ციდან პატარებს ბევრჯერ დაუკრეფს ვარსკვლავებს

გაზაფხულის *სიხარულმა და ბავშვების სიყვარულმა* ***ლეილა ვადაჭკორიას*** *პოეტური პალიტრა ცინცხალი ფერებით მოქარგა. არ დავიწყებია მიცემული პირობა: პატარებს ციდან კიდევ დავუკრეფ ვარსკვლავებსო. ვარსკვლავები მეტაფორული სახეა და საუკეთესო ლექსებს ნიშნავს. პატარების ამ ნობათს პოეტი ბარაქიანად აწვდის ჩვენს რედაქციას. – საბავშვო ლექსების წიგნს როდის გამოცემო რომ ვკითხეთ, ცეროდენებს ციდან ას ვარსკვლავს რომ მოვუკრეფ მაშინო, – ბრძანა ლეილამ. დავითვალეთ და ჯერ კიდევ არასაკმარისია. აი, ეს მარგალიტებიც შეემატებიან ასლექსიან ყულაბას.*

ლეილა ვადაჭკორია

რედაქტორი

გაზაფხული და თვეთა საგალობელი

თებერვალი

არ მოიწყინო, ჩემო ალვის ხევ,
ნუ შეშინდები ქარის სიავით,
სულ მალე ფოთლებს აგიშრიალებს
მოსიყვარულე ნაზი ნიავი.
დაგავიწყდება თებერვლის სუსხი,
დაგეფინება მზე სითბოდ გულზე,
მოფრთხიალდება ჩიტი-ჩიორა,
შენს ლამაზ ტოტზე დაიდებს ბუდეს.

მარტი

გაზაფხულის სურნელია,
ყვავის იასამანი,
დათბა, ტასომ გადაფინა
აივანზე საბანი.
მაგრამ მარტი რის მარტია,
მისებურად აურია,
ზამთარსაც გაღიმებია,
გვერდით როცა ჩაუვლია.
მარტშიც თოვლის ფანტელებმა
გადაპენტა თეთრად არე,
თუმცა მზის სხივების შიშით
გაიპარა ისევ მალე.
თებერვალი ბერავდაო,
მარტი კაბას კერავდაო,
აპრილიც შეშველებია,
ღმერთი გვშველის ყველასაო.

აპრილი

აპრილია ხეები
იფურჩქნება ირთვება,
სამოსელი გაშალეს
მიძინებულ კვირტებმა.
უხარიათ ალუბლებს,
მზე ფოთლებში ჭიატობს
და ტოროლა ხალისით
ცის ფერდობს რომ მიაპობს.

ტყის მეგობარი

დილაა მშვიდი,
ნიავსაც სძინავს,
აღარ კრთებიან
ხეზე ფოთლები,
სოფლის ძაღლები
ნასუფრალს ღრღნიან,
დარჩა ნაგავი და
ცარიელი ბოთლები ყრია.

მოუწყენიათ ტყეში
ხეებს, ბალახებს,
ბუჩქებს,
ტყის მეგობარი
წასულა და
აღარ ჩანს
თურმე.

ბერმუხა

სოფელში ბერმუხა იდგა
თავისი სიბრძნით განთქმული,
სადღაც შორეულ წარსულში
ფესვები ჰქონდა გართხმული.
რამდენ ქარტეხილს გაუძლო,
მცირემ კი შეშად აქცია,
ვაი რომ, ფრინველთა გუნდი
სინდისზე აწყობს აქციას.

„ცუდას რად უნდა მტეროობა, კარგია მუდამ მტრიანი“

პოემა „ალუდა ქეთელაურის“ სწავლებისათვის

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა არაერთი ნაწარმოების თემა გამხდარა. პოემის მთავარი პერსონაჟი ალუდა რომ კაცია ,,დავლათიანი“, დასაწყისშივე გვეუბნება ავტორი, მაგრამ ჩვეულებრივი წევრია საზოგადოებისა მანამ, სანამ არ დაიწყებს სხვანაირად აზროვნებას. განსხვავებულად მოაზროვნე და მოქმედი ადამიანი თითქმის ყოველთვის მიუღებელია საზოგადოებისათვის.

ალუდას თემთან დაპირისპირების მიზეზი გახდა არა მკლავის მოუჭრელობა მუცალისთვის, არამედ ის ფაქტორი, თუ როგორ ახსნა მან ეს ამბავი. ალუდას მსგავსი ბევრი ვაჟკაცი ყოფილა მთაში, ვისაც მარჯვენა არ მოუკვეთავს მტრისთვის მოკვლის შემდეგ, მაგრამ თემი არ დაპირისპირებია, რადგან მათ საჯაროდ, ალუდას მსგავსად, მტრისთვის ცხონებული არ უწოდებიათ.

ალუდას მიერ მუცალის დატირებას ბუნების სურათი მოსდევს, სადაც ავტორი ჩაურთავს: **„ჯიხვნი მაუბნენ მყინვარსა, მადლი რქად ადგათ ღვთისაო.“ (ქართველი მწერლები სკოლაში. ტ.V გვ.34)**

უფლის მადლის „რქად“ გააზრებას ბიბლიური საფუძველი აქვს. ღმერთი შეჰპირდა დავითის მოდგმას, რომ „აღმოუცენებდა რქას“, ანუ „განუმზადებდა სანთელს“. **„მუნ აღმოუცენო რქაი დავითს, და განუმზადე სანთელი ცხებულსა ჩემსა, მტერთა მისთა შევმოსო სირცხვილი, ხოლო მის ზედა აღყვავნეს სიწმინდე ჩემი“ (ფს. 131, 17-18).**

თემთან დაპირისპირებული ალუდა ხმამაღლა აცხადებს, **რომ „მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვჭრი / მარჯვენას მაგათ ჯიბრითა!“** და ცოდვა-ბრალით მონათლულს უწოდებს როგორც მინდიას საქციელს, ისე თემის დამოკიდებულებას.

ალუდას სჯერა, რომ მტერიც შეიძლება ვაჟკაცი იყოს, ენანება მოკლული მუცალი. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მომაკვდავი მუცალიც აღიარებს ალუდას ვაჟკაცობას, მხოლოდ მისთვის ემეტება თავისი „ძეგლიგი“ (კაჟიანი თოფი), რომელიც საკუთარი ხელით გადაუგდო, მაგრამ ხევსურს „არ ეხარბება თვალი“...

ალუდაში სიყვარულია მოზღვავებული, ადამიანის სიყვარული, რადგან მისი მრწამსით მტერიც დედამ შობა და მასაც კაცი ჰქვია. ალუდა მუცალს თავის ,,ლამაზ ძმას“ (ვაჟკაცს) უწოდებს. მასში გულისა და გონების ერთობლიობა კულმინაციას აღწევს სიზმარში, როდესაც კაცის ხორცის წვნიანს ჭამს. სიზმრის შემდეგ გარდაუვალია მისგან არათუ მარჯვენის მოკვეთა, არამედ მტრის მოკვლაც კი, თუ მტერი საომრად არ მოვა.

მთაში არსებული რწმენის თანახმად, რომ სულეთში კაი ყმა ვერ შევა მარჯვენის გარეშე, გულის სიღრმემდე სწამს ალუდას, ამიტომ გადაწყვეტს, მინდიას საქციელი გამოასწოროს და „ლამაზ ძმას“ კურატი შესწიროს. ალუდას ცოდვა არ ასვენებს და გადაწყვეტს ხატობაზე საკლავით მისვლას, რათა თავისი ,,ლამაზი ძმის“ სისხლი ჩამოირეცხოს.

სწორედ ხატობაზე აღწევს კულმინაციას ალუდას ქცევა, როდესაც ხევისბერი გაოგნებულია, ვერ გაუგია გაურჯულებულს როგორ არჯულებს და თანასოფლელს **აფრთხილებს „ქისტისად საკლავის დაკვლა / კარგად არ მოგიხდებისა,“** მაგრამ ალუდა, მიიღებს რა უარს ბერდიასაგან, თავად იდებს ამ ცოდვას კისრად და კურატს თავს გააგდებინებს ისე, რომ უფალს სთხოვს მის შვილებს არ მოჰკითხოს ეს ცოდვა.

ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, სიმონ ჩიქოვანის აზრით „ალუდას სახე შორეულად ავტორის სულიერ მიდრეკილებათა ანარეკლი და მისი ხასიათის ორეულია“ **(სიმონ ჩიქოვანი, 1963 წ.)**.

ალუდა არა მარტო მარჯვენის მოკვეთის, არამედ „მტერობის“, ანუ მტრობის წინააღმდეგია და გულში კიცხავს ყველა იმას, ვინც დაყრუებულ-დაბრმავებულია. ერთადერთი მინდიაა, ვისაც სჯერა და ესმის ალუდასი, მაგრამ ვერც ის ჩასწვდება მეგობრის გრძნობასა თუ ფიქრს, თორემ ისე არ მოუტანდა მუცალის მოკვეთილ მარჯვენას. მინდია ალუდას საყვედურის შემდეგ **„თუ ხელის მოჭრა მდომიყო, / განვერ მოვსჭრიდი თავადა?“** მიხვდება თავის შეცდომას და მოტანილ მარჯვენას ხევში გადააგდებს.

ალუდასგან კიდევ ერთი ტრადიციის დარღვევას (თავად კლავს შესაწირს) მოჰყვება „ჯაგარაშლილი“ ბერდიას განაჩენი, რომელიც უმკაცრესია, მოკვეთა თემიდან, თანაც არამარტო ალუდასი და მისი ცოლის (როგორც ხშირად ხდებოდა), არამედ დედის, და-ძმის, დეიდაშვილების (რაც იშვიათი იყო).

აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდება მინდია, რომელიც ერთადერთია, ვინც ცრემლიანი თვალებით მიაცილებს მოკვეთილ თანასოფლელს, ეს ცრემლები თემის უსამართლობისა და საკუთარი უსუსურობის დასტურია.

რაც შეეხება ალუდას, თემიდან მოკვეთის შემდეგ არ კარგავს ჰუმანურობას, ბოლომდე ერთგულია თავისი ხალხის და უაღრესად მორწმუნე: **„ჯვარს არ აწყინოთ, /თემს ნუ სწყევთ, / ნუ გადიქცევით ცეტადა!“** უწყრება დედას და ცოლს, ინარჩუნებს თემის სიყვარულსა და მიტევების უნარს.

ავტორის ჩანაფიქრით, ალუდას მისია იყო შატილელთა სულებში სინათლის შეტანა, რათა მტრობა და დაუნდობლობა სიკეთითა და სიყვარულით შეცვლილიყო.

ვაჟა-ფშაველა მზეს „აჩენს“ ყველგან, როცა ალუდა მოქმედებს; **„მზემ აიწია ცაზედა, / ნისლებმ დაწირეს ხევები.“** მზის უფლის სახელად გააზრებას უკავშირდება ნათლისა და ბნელის მონაცვლეობა პოემაში. მინდიას წასვლას მუცალის მკლავის მოსატანად კი მოსდევს ჩამობნელება: **„დაბნელდა, წყანი ტირიან, / კალთა გვეხურვის ღამისა“.**

უნდა აღვნიშნოთ, რომ პოემაში ბუნების სურათის აღწერა ყოველთვის მიესადაგება მიმდინარე მოვლენებს.

ნაწარმოების ფინალში თოვლით დაფარული საშინელი გზა ამ წუთისოფლის გზა-სავალია, რომლის გავლაც ალუდასგან უდიდეს სულიერ ენერგიას მოითხოვს. ალუდა ხომ შურისძიებაზე, მტრობაზე ამაღლებული ღმერთშემოსილი მარტოკაცია.

ლიანა ჯანგულაშვილი–გელაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი.

მოიხიბლებით 41-ე ბაგა-ბაღში

ღვაწლმოსილი დირექტორის წარმატებათა საიდუმლო

თბილისის 41-ე ბაგა-ბაღში ისეთ დროს მივედი, როცა პატარა ონავრები ეზოში გამოფენილიყვნენ და ატრაქციონებზე თამაშით ირთობდნენ თავს. შენობიდან კი, მუსიკალური ჰანგები და აღსაზრდელების სიმღერები ისმოდა. გარეთ გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, მზიანი, თბილი ამინდი იყო და ჩიტების ჭიკჭიკთან ერთად პატარების ჟრიამული სასიამოვნო განწყობას ქმნიდა. ბაღის ეზო ნამდვილი ოაზისია, გამწვანებული და დამშვენებული მწვანე ნარგავებით. ბაგა-ბაღების საagენტოს ხელშეწყობით, აქ ყველაფერი მოწესრიგებულია, შენობაშო კი შესვლისთანავე დაფაზე გამოკრულია ის ძირითადი საკითხები და ინსტრუქციები, რაც უმთავრესია საბავშვო აღმზრდელობით საქმიანობაში. ეს მნიშვნელოვანი თეზისები კი, კარგად ესმის ბაგა-ბაღის ღვაწლმოსილ დირექტორს **მაყვალა ჩუბინიძეს**, რომელიც აღნიშულ დაწესებულებას უკვე 35 წელიწადია ხელმძღვანელობს საოცარი წარმატებით. დიდი დამსახურების მქონე დირექტორი სამაგალითო პიროვნებაა თავისი დიდსულოვნებით, თავმდაბლობით, საქმისადმი თავდადებით, აღმზრდელებისადმი მზრუნველობით და თანამშრომლებისადმი მეგობრული დამოკიდებულებით. **მაყვალა ჩუბინიძე** გახლავთ დამსახურებული მასწავლებე-ლი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნებით, სიგელებით და ხალხის სიყვარულით. მრავალი თაობის აღმზრდელს თავისი აღზრდილების ყურადღება და სითბო არასოდეს მოკლებია. ეს კი დიდი სტიმულია მხცოვანი პედაგოგისთვის, რადგან დღესაც ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით აგრძელებს საყვარელ საქმიანობას. მას მხარში უდგას ბაღის მთელი კოლექტივი და ერთობლივად დიდ წარმატებასაც აღწევენ. ბაღს ემსახურებიან პროფესიონალი სპეც. პედაგოგები: **მარიკა ლუკავა, ნონა უზარაშვილი** და **დიანა სიდიანი.** დირექტორის მოადგილე **მარიკა მაღლაკელიძე** კი, მთლიანად ჩართულია ბაღის საქმიანობაში, დიდი ენერგიით უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას და შესანიშნავად ხელმძღვანელობს ბაღის ჰყავს მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები: **ლელა გურაბანიძე** და **თინათინ გელაშვილი**. ასევე, ლოგოპედი **ირმა რუხაძე** და ექთანი **თეა ნადირაძე.**

ბაგა-ბაღების საagენტოს ხელშეწყობით, ინფრასტრუქტურა მთლიანად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია უსაფრთხოების ბადეები და აღმზრდელობითი დაწესებულება აღჭურვილია კვების განყოფილებასაც. ასევე, დადებითად აფასებენ მეთოდისტის **დალი მელქაძის**, მნე **ნუნუ ბუქურის**, საქმისმწარმოებლის **ლია შარაშენიძის** საქმიანობას. ბაღის ექიმი **ვალა ჩუბინიძეს**, ექთანი **ეთერ შამანაური** ბავშვებს ანალიზებს, ინფექციურ დაავადებებს ადგენენ, ბავშვებს ეხმარებიან ადაპტაციის პერიოდში, ეხმარებიან ბავშვებს ინვალიდობის, ინტელექტუალური, ფიზიკური, ფსიქიკური, ენობრივი, ინტეგრირებული, ინკლუზიური, ინოვაციური, ალტერნატიული, ალტერნატიული, ინოვაციური, ინკლუზიური, ინტეგრირებული, ენობრივი, ფსიქიკური, ფიზიკური, ინტელექტუალური, ინვალიდობის, ბავშვებს ეხმარებიან ადაპტაციის პერიოდში, ექთანი **ეთერ შამანაური** ბავშვებს ანალიზებს, ინფექციურ დაავადებებს ადგენენ, ბაღის ექიმი **ვალა ჩუბინიძეს**, ბაღის ჰყავს მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები: **ლელა გურაბანიძე** და **თინათინ გელაშვილი**. ასევე, ლოგოპედი **ირმა რუხაძე** და ექთანი **თეა ნადირაძე.**

ბაგა-ბაღების საagენტოს ხელშეწყობით, ინფრასტრუქტურა მთლიანად მოწესრიგებულია, დამონტაჟებულია უსაფრთხოების ბადეები და აღმზრდელობითი დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სააღმზრდელო ლიტერარტურით, სათამაშოებით და ყველა საჭირო ნივთებით. ბაღი მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული. ისინი მუხლჩაუხრელად იღწვიან იმისთვის, რომ პატარებს შინაარსიანად გაატარებინონ სკოლამდელი ასაკი. ფეხს უწყობენ ქალაქის ბაგა-ბაღებში მიმდინარე რეფორმებს.

მაყვალა ჩუბინიძე: ამჟამად ჩვენთან 400 აღსაზრდელია, ხოლო 8 ჯგუფია. 12 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელია. **„სასკოლო მზაობის''** პროგრამაში კი ჩართულია 120 აღსაზრდელი. პროგრამა მართლაც დახვეწილია და პატარების აზროვნების განვითარებაზეა ორიენტირებული. სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევთ უსაფრთხოებას, ჰიგიენას და კვებას. თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდ მადლობას ვუცხადებ ბაგა-ბაღების საagენტოს ხელმძღვანელს **კახაბერ გვანცელაძეს** შესანიშნავი თანამშრომლობისთვის. საბავშვო ბაღში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რაც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. ყურადღებას იქცევს ბაღის ცხოვრებაში **„მშობელთა კლუბის“** საქმიანობა. მშობელთა სოციოლოგიური კვლევების ანალიზისა და მათი აზრის გათვალისწინებით ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. აქ ბაღის აღსაზრდელები იძენენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც საბაზისოა მათი მომავალი სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. პატარებს ვასწავლით ზრდილობას, უფროსებთან და ბებია-ბაბუებთან ურთიერთობას, წინაპრების პატივისცემას, ტრადიციებს, ისტორიის დაფასებას, სამშობლოს სიყვარულს. ბავშვებს ვესაუბრებით ეთიკაზე, გარემოს დაცვაზე და ეკოლოგიაზე. დირექტორი კმაყოფილია აღმზრდელების საქმიანობით, ესენია: **გოგუცა კაბოსნიძე, ელისო იაკობაშვილი, ელენა ბრეგაძე, თინათინ შეყილაძე, ნატალია გახარია, ანჟელა გაბრიჩიძე, მედეა ღვინიაშვილი, თამარ ზაკალაშვილი, მარინე კვეტენაძე, ნატო ბისეიშვილი, თამარა ლაფერაშვილი, დიანა გაგნიძე და შორენა სურმანიძე,** მათ ეხმარებიან აღმზრდელის თანაშემწეები: **დალი ბარვენაშვილი, ხათუნა კიწმარიშვილი, მზია კალანდაძე, მაია ლაბაძე, იზაბელა ნადირაძე, მარინე ლოლაძე, დარეჯან ჯაყელი, ნონა მეტრეველი, თამარ ქაჩლიშვილი** და **ნანა ბაღაშვილი.**

შემოქმედებითი ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები, როგორც სხვა ბაღებში, აქაც წარმატებით ხორციელდება. მუსიკის პედაგოგი **ეთერ შამანაური** პატარებს სიმღერასაც ასწავლის და მუსიკასაც აყვარებს. დირექტორი და ბაგა-ბაღის მთელი კილექტივი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ჰქონდეთ და ბაღში გატარებული წლები მთელი ცხოვრება ლამაზ მოგონებად გაჰყვეთ.

მზია გოგოძე

ნინო ქათამაძე: „აქა ვართ და ძალგვიძს!“

საბჭოთა ხანს ვნახე დოკუმენტური ფილმი სულით-ხორცამდე რომ შემძრა. იგი ბალტისპირეთის ერთ-ერთ ქვეყანაში მდებარე სპეციალური სკოლა-ინტერნატის ერთდროულად უსინათლო, ყრუ-მუნჯ აღსაზრდელთა ყოფა-ცხოვრებაზე მოგვითხრობდა. თითების სპეციფიკური მოძრაობით ახერხებდნენ ურთიერთობას, „მეტყველებდნენ“. ერთმა მოზარდმა ყველა აღსაზრდელის ნება ასე გამოხატა, ბუნებამ თითქოს ყველაფერი იღონა, რომ მცენარეებივით ვყოფილვიყავით, მაგრამ ამას არამც და არამც არ შევურიგდებით და აუცილებლად დავიმკვიდრებთ ადგილს ცხოვრებაშიო.

ასეთი ნება, შემართება, უდრეკობა აუცილებლად დასაფასებელია. ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონეთ ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლენასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში. მით უფრო, რომ ყოველი ასეთი მაგალითი უდიდესი სტიმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთათვის.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაისტამბა წერილი თამაზ მჟავანაძეზე, ვინც 28 წლისამ უკვე იმდენს მიაღწია, ნებისმიერი „შეუზღუდავი“ რომ ინატრებდა.

ახლა გთავაზობთ საუბარს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგთან, ქალბატონ ნინო ქათამაძესთან. ვნახოთ, როგორ გამოჭედა მან ბედი თვისი და ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც გვერდში დაუდგნენ, ცხოვრების გზაზე გასვლაში დაეხმარნენ მას.

- ჩემი სპეციალობა მუდმივად წერას, ტექსტებზე მუშაობას გულისხმობს. მახსოვს, როგორი შოკი განვიცადე, როცა ერთხელ რედაქციაში ჩვეულებრივ მისულმა ასოები ვეღარ გავარჩიე. თქვენი მდგომარეობა კი შეუდარებლად რთულია...

- განსხვავებული შესაძლებლობის მიუხედავად, და, შესაძლოა, სწორედ ამის გამო, ბავშვობიდან ვცდილობდი ძლიერი ვყოფილიყავი, სწორად შემეფასებინა ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი და ისე მემოქმედა. ნებისმიერი წინაღობა კიდევ უფრო მაძლიერებდა. ცხოვრებამ თავად მასწავლა ბრძოლა, რადგან იმხანად მომიწია პირველი ნაბიჯების გადადგმამ, როცა „უსარგებლო-ინვალიდებად“ მიგვიჩნევდნენ. ამას ამგვარი სტერეოტიპების მთელი „კასკადიც“ დაურთეთ, რაც ჩემს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს კარჩაკეტილობის უფსკრულისკენ მიაქანებდა(არადა, ბუნებით ამბიციური და ამაყი ვარ) და სწორედ ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, პოზიტიურად შევხედე მოვლენებს. ამაში ყველაზე დიდი დამსახურება ოჯახს - დედას, მამას, დას მიუძღვით. თუკი იმ დროს შშმ-ს ბევრი ოჯახი მალავდა და ავადმყოფი შვილის ყოლა (როგორც თვითონ უწოდებდნენ) სირცხვილად მიაჩნდათ, ოჯახი ჩემით ამაყობდა, ვებედნიერებოდი და მათი ყოველი დღის პოზიტივი ვიყავი. ასეთმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა დამაკისრა. გარეგან ფაქტორებს შინაგანი მებრძოლი „მე“ დავუპირისპირე და განვაგრძე ცხოვრება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. სკოლა წარჩინებით დავამთავრე. ბავშვობიდან ვფიქრობდი, რომ გაუბედავი ადამიანი ვერასოდეს შეძლებდა გაბედულ ოცნებას. სწორედ ამიტომ მოვინდომე, გავბედე და წარმატებასაც მივაღწიე. ჩავაბარე **აკაკი წერეთლის** სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სრული სახელმწიფო დაფინანსება მოვიპოვე.

მახსოვს, როდესაც სახელმწიფო გამოცდას ვაბარებდი, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ჩემი ფიზიკური პრობლემა არად ჩააგდო, არ დამზოგა, გაცილებით რთული კითხვები დამისვა, ვიდრე ბილეთი ითვალისწინებდა და როდესაც ყველა კითხვას სრულყოფილი პასუხი გავეცი, წამოდგა, გახარებულმა ხელში ამიტაცა და მითხრა, შენ დიდი მომავალი გექნება და ყველაფერს შეძლებო. ბატონ **სერგო ჭეიშვილის** ეს სიტყვები მომავლის სტიმულად მექცა. მართლაც, „წითელ დიპლომზე“ დავამთავრე უნივერსიტეტი. არსად, არასოდეს გამომიყენებია ჩემი მდგომარეობა. პირიქით, აფასებდნენ რა ჩემს გონებრივ შესაძლებლობებს, გაცილებით მეტს მოითხოვდნენ. მოვინდომე და შევძელი.

- კი ბატონო, მოინდომეთ და შეძელით. წითელ დიპლომზე უმაღლესის დამთავრება მართლაც დიდი წარმატებაა. მაგრამ, ნათქვამია, გაცემული ცოდნა გაორმაგებულიაო. რა იყო შემდეგ? აუცილებლად გექნებოდათ ცოდნის გაზიარების, ცხოვრებაში მეტი აქტიურობით ჩაბმის სურვილი.

- მართალი ხართ. უნივერსიტეტი კი დავამთავრე, მაგრამ ჩემთვის, პედაგოგისთვის ყველა სკოლის კარი დაკეტილი იყო, რადგან გარემოს არ მოვერგე, რადგან განსხვავებული შესაძლებლობისა ვიყავი... უმოქმედობა, ცოდნისა და შესაძლებლობების ფუჭად გაფანტვა, ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო... ფილოლოგს კარგად მქონდა გაზეპირებულიცა და გააზრებულიც ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“ ან კიდევ ილიას ოთარაანთ ქვრივისეული შეგონება: „თუ წუთისოფელს ერთ ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“. არც მკვდარს მინდოდა დავმსგავსებოდი და არც ნაბადივით გათელილისიბრალულის ობიექტად ვქცეულიყავი. სწორედ ამიტომ გამოვიყენე „მომსახურების კანონი“ , რაც გულისხმობს: „თუ ადამიანს აღიარების, წარმატების, პატივისცემის მოპოვება სურს, უნდა შეეძლოს ახლობელი ადამიანებისთვის და, თუ საჭიროა, უცნობებისთვისაც მომსახურების გაწევა“. ჰოდა, დავიწყე უანგაროდ ზრუნვა ახლობლებსა და მეგობრებზე. ვასწავლიდი შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს... და თითქოს ეს ბუმბერაზი მწერლები მაძლევდნენ ძალას. შედეგსაც ვხედავდი და რეპეტიტორობა დავიწყე. ამან კიდევ უფრო მეტი სტიმული მომცა, პრობლემებმა და სახელმწიფოს მხრიდან იზოლირებამ თვითგანვითარებას შეუწყო ხელი. მოკლედ, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ცოდნის განმტკიცება-რეალიზება დამოუკიდებლად შევძელი.

- ილიასეული თერგიც გავიხსენოთ, მოძრაობა და მოძრაობაა ცხოვრებისათვის ძალის მიმცემიო. მჯერა, თქვენი შემართების ადამიანი მიღწეულს არ დასჯერდა.

- წარმატებით ჩავაბარე პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები. ახალგაზრდების წარმატება ჩემი თვითდაჯერებისა და თვითშეფასების გარანტი იყო, რათა არ დავცემულიყავი და საზოგადოების უსარგებლო წევრად არ მეგრძნო თავი; მოვიშორე ყველა სტიგმა, შევიძულე ყველა ცუდი, არასწორი დამოკიდებულება შშმ პირთა მიმართ, იმ იმედით, რომ 21-ე საუკუნეა, ცხოვრება წინ მიდის, ადამიანთა ცნობიერებაც ამაღლდება, ოდესმე ჩვენი ქვეყანაც იხელმძღვანელებს „გონივრული მისადაგების პრინციპით“, გავარღვევთ კარჩაკეტილ სივრცეს და გარემო მოგვერგება ჩვენ, ადამიანებს. ვცდილობ მათ ავუმაღლო ცნობიერება შშმ პირთა მიმართ. წლის ბოლოს სხვადასხვა ასაკის ბავშვები მიმყავს ექსკურსიაზე და, როდესაც ეტლით მიმავალს მხედავენ, უშიშრად, თამამად და უკომპლექსოდ (თუნდაც, მთებში) მიმავალს, ისინი კიდევ უფრო ძლიერდებიან და წარმოდგენაც ეცვლებათ სამყაროს შესახებ. წმიდა სამების ტაძრის წინამძღვარმა მკითხა, ხომ არაფრის გეშინიაო. ბავშვებისაკენ გავახედე და ვუთხარი, მამაო, 17 ბავშვი მარტომ ამოვიყვანე, მშობლებმა სრული ნდობა გამომიცხადეს და რისი უნდა მეშინოდეს-მეთქი... დამლოცა და წარმატებები მისურვა. საპატრიარქოს ტელევიზიის შემოქმედებითმა ჯგუფმა „კვირიაკემ“ გადაიღო სიუჟეტი ჩემს შესახებ. სიუჟეტი მედიის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე - „ჩემი ლიდერი ქალი“წარვადგინეთ და გავიმარჯვე კიდეც. „ლიდერი ქალის“ წოდებამ კიდევ უფრო შეცვალა ჩემი სამყარო და უფრო გამაძლიერა. ვცდილობდი ჩემ წინ აღმართული ყველა კედელი დამენგრია, რაც მომავალ წარმატებებში შემიშლიდა ხელს.

- ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიდაც ბრალიაო. თავიდანვე ოჯახმა, პედაგოგებმა ძალზე შეგიწყეს ხელი. სავარაუდოდ, კიდევ გამოჩნდებოდნენ ისინი, ვინც თქვენს ნიჭს, ცოდნასა და შემართებს დააფასებდნენ და ასპარეზსაც დაგილოცავდნენ.

- სწორედ ასეა. არიან ქალბატონ **ნანა ჯიქიას** მსგავსი ადამიანები, რომელთა ცნობიერება უკიდეგანოა. მათ ესმით ადამიანობის არსი და ნიჭიერების ფასი. ქალბატონი ნანა დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის რექტორი, პროფესორია. იგი ხელს უწყობს არა მარტო შშმ პირთა განათლების მიღებას, არამედ უკვე ცოდნამიღებულთ ეხმარება ცოდნისა და უნარების რეალიზებაში.

ამჟამად დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საპატიო პედაგოგი ვარ. ვმონაწილეობ დისტანციური სწავლების პროცესში. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია სხვას მივცე განათლება და მადლობა ამისთვის ქალბატონ ნანას.

მუდმივად ვეძებ სიახლეებს. ჩართული ვარ სხვადასხვა ღონისძიებაში; გახლავართ შშმ ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრი; ვცდილობთ დავანახვოთ ჩვენი თავი საზოგადოებას, რომ აქა ვართ და ძალგვიძს!

ესაუბრა

კოტე გურგენიძე

P. S. ძალაუნებურად გამახსენდა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მფრინავი **მერესიევი.** მას ორივე ფეხი მოჰკვეთეს, მაგრამ იმდენი შეძლო, რომ ავიაციასაც დაუბრუნდა და საბჭოთა კავშირის გმირიც გახდა. **ნიკოლოზ ოსტროვსკიმ** კი დამბლადაცემულმა და ჩინდაკარგულმა დაგვიტოვა რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. მათი მაგალითი არაფრთოვანებდა და ცხოვრების ბედუკუღმართობასთან ჭიდილის უშრეტი ენერგიით აღავსებდა მილიონობით ადამიანს.

ნინო ქათამაძის მაგალითიც, მერწმუნეთ, ძალზე ბევრ შეზღუდული შესაძლებლობების მქონეს „გამოაგელვინებს მერანს“ ბედთან შესაბმელად და შემდგომ ისინიც ნინოსავით გაუადვილებენ სავალს „მოძმეთა თვისთა“.

ნინო ქათამაძის მასტერკლასი
შშმ პირი
შშმ პირებისთვის
DAVID AGMASHENEBLI ACADEMY
დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემია

მოსწავლეთა სახლის მუშაობის ანგარიში

მიღწევებით არ კმაყოფილდებიან

გაზაფხულისთვის უჩვეულოდ ცივ და წვიმიან ამინდში, თბილისის მოსწავლეთა-ახალგაზრდობის სახლის გლდანის ფილიალში მზესავით სითბო, პოზიტიური გარემო და გაცისკროვნებული სახეები დაგვხვდა. აქ სტუმრები გულთბილად მიგვიღეს, ღია გაკვეთილებზეც დაგვასწრეს და თავიანთი გაწეული მუშაობის შედეგებიც გაგვაცნეს.

„ღია კარის დღე'' საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული, ფოიეში გამოფენილი იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ხალხური რეწვის ნიმუშები, თექის და გობელენის ნივთები... მუსიკალური, სახელოვნებო და სპორტული წრეების გაკვეთილები კი. იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინს გადააჭარბა. მოსწავლეებმა მაღალ დონეზე წარმადგინეს თავიანთი შემოქმედება, რაც თავისთავად მეტყველებს მოსწავლეთა-ახალგაზრდობის სახლის წარმატებულ მუშაობაზე. საწრეო მეცადინეობებზე დასწრება კი, მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას.



გლდანის ფილიალის საქმიანობის პრეზენტაცია წარმოადგინა ხელმძღვანელმა **ლია კოპალიანმა** და მას ესწრებოდნენ თბილისის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის დირექტორი **მანანა წნორიაშვილი,** გამგეობის წარმომადგენელი **ელენე ოსტიაშვილი,** პროგრამების კოორდინატორი **მამუკა ერქომაიშვილი** და სხვადასხვა რაიონის ფილიალის გამგეები: **ხათუნა ჯელია-კახიძე, ვაჟა ჭიპაშვილი, ლამზირა მელქაძე, ლია ნატროშვილი, ციცინო გოგოტიშვილი** და სხვები.

პრეზენტაციაზე, ეკრანზე სლაიდ-შოუს სახით იყო წარმოდგენილი გაწეული მუშაობის ანგარიში და იმ პროექტების ჩამონათვალი, რომელიც წარმატებით განხორციელდა. **ლია კოპალიანმა** თავდაპირველად, მოკლედ მიმოიხილა გლდანის ფილიალის ისტორია და აღნიშნა, რომ მოსწავლეთა-სახლი წარმოადგენს აღზრდისა და დამატებითი განათლების დაწესებულებას, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან ხარისხიან განათლებას. სახლი უკვე 38 წელიწადია, განათლებასა მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. სამწუხაროდ, შენობა არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ ეს ცუდად არ ასახულა სწავლის ხარისხზე. 22 წელიწადია მოსწავლეთა სახლი, 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაშია განთავსებული. შენობის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ამჟამად, მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს 17 სხვადასხვა დასახელების საგნობრივი და ხელოვნების წრე. გიტარის, ტანვარჯიშის, ჭადრაკის, ქარგვის, ხელნაკეთის ნივთების, ქართული ცეკვების წრეები. აქ, ასწავლინ ხატვას და ლათინო-ამერიკულ ცეკვებსაც. სწავლის ხარისხი მაღალია და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისური ენის სწავლებას. გაიცემა შესაბამისი დონის სერთიფიკატი. აქაური მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადებში. მოსწავლეთა სახლში სულ 410 მოსწალეა გაერთიანებული აქედან 27 ახალგაზრდა წარჩინებულია, ხოლო 200 ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახიდან არის. წრეების მუშაობას წარმატებით უძღვებიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები: რუსული ენა **ნათია თინიკაშვილი**, ინგლისური **ხატია ცირეკიძე**, ბიოლოგია **თამარ მურველაშვილი,** მათემატიკა **გურანდუხტ ქეცბაია,** ანსამბლი **„კესანე" ხათუნა ცხვედაძე,ხატვა გვანცა გაგნიძე,** ხალხური რეწვა და გამოყენებითი ხელოვნება **მარიამ გელდიაშვილი,** გიტარა **იზა ქავთარაძე,** ტანვარჯიში **ლიზა აფაქიძე,** ჭადრაკის წრე **დალი აბრამიშვილი.**

ლია კოპალიანის თქმით, მოსწავლეთა სახლის წარმატების გარანტია: მაღალკვალიფიციური კადრები, ინფრასტრუქტურის სრულყოფა, სასწავლო გარემოს მიმზიდველობა, მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა 192 -დან 410 -მდე, უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა რაოდენობა 46%, სერვისების მრავალფეროვნება; საამაყოა, რომ კურდამთავრებულები ქვეყნის გარეთაც ეწევიან პროფესიულ საქმიანობას. მოსწავლეთა სახლისთვის მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაცია, ამ მიზნით მიმდინარეობს სიახლეების შესახებ ინფორმაციის მუდმივად მიწოდება სოციალური ქსელებით; მოზარდებთან, მშობლებთან, თემთან და პედაგოგებთან უწყვეტი კომუნიკაცია, უშუალო და გულწრფელი დამოკიდებულება; ურთიერთობის პროცესის უწყვეტობა; ასევე, თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმართველობასთან,

საჯარო სკოლებთან, ბიზნეს-სექტორთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან. განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია: **„მარჯვე ხელები", „წიგნის თარო", „სტუმრად მეზღაპრეებთან''**, რუბრიკა- ქველმოქმედება და სხვა მნიშვნელოვანი შემეცნებითი თუ ინტელექტუალური აქტივობები.



„სკოლის ბანკი''-ასე ეწოდება პროექტს, რომელიც მათემატიკის წრის ხელმძღვანელმა **ნათია გაჩეჩილაძემ** წარმოადგინა, რომელიც დადებითად შეფასდა და საუკეთესო მაგალითია გამოცდილების გაზიარების მიზნით; ასევე, საყურადღებო და მისაღებია ინგლისურ ენაში სიახლეების დანერგვის ის მეთოდი, რაც წრის ხელმძღვანელმა **ნათია ცირეკიძემ** გააცნო კოლეგებს.

საგულისხმოა, რომ **ლია კოპალიანის** ინიციატივით და თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის **მანანა წნორიაშვილის** გვერდში დგომით, **გლდანის, ნაძალადევის, ისნის** და **საბურთალოს** სახლებში დაინერგა **ინგლისური ენის სწავლებს მეთოდი,** სხვადასხვა დონეების მიხედვით. აღნიშნული პროექტი წარმატებით ხორციელდება და მოსწავლეების მხრიდანაც დიდი დაინტერესებაა. ქარბატონი ლია ამჯერადაც გამოვიდა ახალი ინიციატივით, სადაც წამოაყენა საკითხი **საზაფხულო წრეების** გახსნის შესახებ. შემოთავაზებულმა იდეამ კოლეგების მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა, თუმცა, პროექტი ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია.

მანანა წნორიაშვილი, თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის დირექტორი: ძალიან ეფექტური, საინტერესო და საქმიანი შეხვედრა იყო. გლდანის ფილიალის საქმიანობის გამოცდილება ნამდვილად მისაღები და გასათვალისწინებელია. არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების თვალაზრისით, ბევრი მუშაობაა ჩატარებული. სასურველია, რომ აღნიშნულ ფილიალს უფრო მეტი ფართი და სივრცე ჰქონდეს, თუმცა, ოთახების სივიწროვე მათი მუშაობის ხარისხზე არ აისახება. თბილისის მოწავლე-ახალგაზრდობის სახლის ყველა ფილიალი კარაგად მუშაობს. ბევრი რამ გაკეთდა და სამომავლოდაც, ვგეგმავთ მნიშვნელოვან ინოვაციებს. მიღწევებით არ ვკმაყოფილდებით, კონკურენცია დიდია და ამიტომ, მიდმივი ძიების პროცესში ვართ.

პრეზენტაციაზე, ფართო მსჯელობა გაიმართა კოლეგებს შორის, იყო საკითხების შეფასება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დასიახა სამომავლო გეგმები და ახალი გამოწვევები.

მზია გოგოძე

მზრდელი წიგნისა და ხელოვნების სიყვარულით

ძველ თბილისში ამღერებული კინო-კადრი

დიდი ისტორიის მქონე ძველი თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, რომელიც 2008 წლიდან ცაბაძის ქუჩაზე ფუნქციონირებს, კვალიფიციური პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ ფორმალური განათლების ხელშეწყობისა და არაფორმალური განათლების სწორად მიწოდების პროცესს. 10 წელზე მეტია ამ სახლს სათავეში უდგას ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდა ქალბატონი **ხათუნა ჯელია**, პროფესიით ფილოლოგი, რომელიც მოსწავლეებსა და კოლეგებს შორის დიდი პატივისცემით სარგებლობს. იგი ასევე გახლავთ სტუდია ,,**არტ-სივრცის**" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

აქ ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები: მათემატიკის — პედაგოგები: **ანა კაპანაძე** და **ფატი კოპალეიშვილი;** ინგლისური ენის – **ლინა მურადიანი** და **თეონა ბიწკინაშვილი;** რუსული ენის – **ელიზავეტა გორგოძე;** გერმანული ენის – **მაია ლომთაძე;** ქართული ენის – **ელენე ჯაფარიძე;** ქიმიის – **ანა ნებიერიძე;** შემეცნებითი-განმავითარებელი – **ნანა ეფრემიძე.** თითოეული მათგანის საქმიანობა გამორჩეული და საინტერესოა.

ხათუნა ჯელია: ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი წარმოადგენს არაფორმალური განათლების ცენტრს და გარდა იმისა, რომ გვაქვს სახელოვნებო წრეები, ძირითად აქცენტს საგანმანათლებლო მიმართულებებზე ვაკეთებთ. ასევე, მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის მერია აფინანსებს სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებს (ასეთი კი 200-მდე მოსწავლეა) და სწავლაში წარჩნებულ 10 მოსწავლეს. ვასწავლით 3 უცხო ენას — ინგლისურს, გერმანულსა და რუსულს; ასევე ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებს, გვაქვს სააბიტურიენტო ჯგუფები და ჩვენი მოსწავლეები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. წელს შევქმენით სტუდია ,,**არტ სივრცე**", სადაც გაერთიანდა ქართული ხალხური ცეკვები და სამხატვრო და ვოკალური მიმართულება. ვოკალურ მიმართულებაში შედის აგრეთვე ინსტრუმენტები: გიტარა, ბასგიტარა და სხვა."

წარმატებით ფუნქციონირებს სახელოვნებო წრეები: ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ,,**ნერგები**''— ხელმძღვანელი **ეკა გერაძე**. მას დამთავრებული აქვს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი" (საფორტეპიანო განყოფილება) და ასევე ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია – მუსიკათმცოდნე ფოლკლორისტი; ქართული ხალხური ცეკვა — ხელმძღვანელი **ფრიდონ სულაბერიძე** (უმცროსი), საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ ,,**რუსთავის**" წამყვანი სოლისტი; სამეჯლისო-სპორტული ცეკვის მიმართულების ხელმძღვანელი, კავკასიის

სამგზის ჩემპიონი სხვადასხვა კატეგორიაში, საქართველოს ეროვნული წლის ჩემპიონი, სპორტული ცეკვების პრეზიდიუმის წევრი, სპორტული ცეკვების პირველი კატეგორიის მსაჯი **რაფაელ ანანიკიანი.**

ეკა გერაძე: ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ამ სახლში ანსამბლ ,,ნერგებისთვის" შექმნილია თბილი გარემო, სადაც ბავშვებსა და მასწავლებლებს ქალბატონი ხათუნას თანადგომით, გვეძლევა რეალიზაციის საოცარი საშუალება. ძირითადი აქცენტი ქართულ საესტრადო სიმღერებზე კეთდება, თუმცა, რეპერტუარში ხალხური და უცხოური სიმღერებიც გვაქვს. სამომავლოდ, ვაპირებთ განვახორციელოთ პროექტი ,,ამღერებული კინო-კადრი,"რომელიც ჩარლი ჩაპლინის 130-ე საიუბილეო წელს მიეძღვნება და სადაც ამღერდება შავ-თეთრი კადრები."

წიგნიერების დღეს, თანამედროვე ქართველმა ავტორმა **დათო გაბუნიამ** სანტა ესპერანსაში უმასპინძლა სტუდია ,,არტ სივრცეს". ბავშვები ასევე გაეცვნენ პროექტს, რომელიც თბილისის ეროვნული არქივის კინოსტუდია „**ქართული ფილმის**" ორგანიზებით ჩატარდა და წარმოდგენილი იყო აღდგენილი ძველი ქართული ანიმაციური ფილმები.

ფუნქციონირებს კლუბი, სადაც იმართება შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ხელოვანებთან. მოსწავლეებს სტუმრობდნენ: პოეტი **რატი ამაღლობელი,** მხატვარი **რუსუდან ფეტვიაშვილი**, პოეტი **ნანა ცინცაძე** და პოეტი **მაკა ბლიაძე**. მოსწავლეები მონაწილეობენ თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ საქალაქო ღონისძიებებში. ასევე აქტიური ურთიერთობა აქვთ ეროვნულ სასახლესთან დაგეგმილ, საგნობრივ თუ სხვა ღონისძიებებში, სადაც წარადგინეს მათემატიკის წრის მოსწავლის **კობა კიკიანის** მიერ მომზადებული თემა – მათემატიკური მოდელები ეკონომიკაში.

საოცრად ემოციური იყო შეხვედრა თბილისის მე-200 სპეციალიზირებული სკოლის შშმ ბავშვებთან, სადაც ჩატარდა

კონცერტი სტუდია ,,არტ სივრცისა" და ანსამბლ „ნერგების" მონაწილეობით.

როგორც ქალბატონმა ხათუნამ აღნიშნა, 18 ივნისს იგეგმება მასშტაბური, შემაჯამებელი თეატრალიზებული საღამო. აქ ანსამბლი „ნერგები" მეტად საინტერესო პროექტს **„აამღერე კინო-კადრი"** წარმოადგენს, რომელიც თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზე გაიმართება.

ნათია გურგენიძე

განცხადება

2019 წლის სექტემბრიდან დიდუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიხსნება საბალეტო სტუდია „პიკე".

პროფესიონალურ ჯგუფში მიიღებიან ბავშვები 5 წლის ასაკიდან. იმოქმედებს მოყვარულთა ჯგუფიც.

მისამართი: დიღმის მასივი, V კვ. მიქელაძის ქ. № 6, მე-40 ბაგა-ბაღის შენობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 252-43-02; 577-71-73-27; 597 973 955.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N7 (4582)
24 აპრილი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009